სახალხო გაზეთი

№ 868 ოთხშაბათი, 10 აპრილი 1913 წ. № 868

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ. სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება
(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ქართველი ერის ისტორია**, პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარედისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გად იხადონ. ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გ მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).

2 ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,

3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

ბედნიერ დღეებისათვის

ახლად მივიღე საუკეთესო

— კახური ღვინოები —

ყველასთვის ხელმისაწდომ ფასებში **ვედრო**—2 მ. 40 კ-დან—8 მანათამდე, **ბოთლი** 15 კ-დან—60 კ-დე.

ექსარხოსის მოედნის მახლობლად, ბაგრატიონის ქუჩაზე, სახლი კოწწოვისა № 10.

1151. პატივისცემით ს. ი. კურდღელაშვილი.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ასპინძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ი. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
[illegible]	**ექიმი-ქალი ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თაკაიშვილი ა. ი.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხუდობაშევი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—$1^1/_2$ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფედოროვი ი. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
[illegible]	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
[illegible]	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$ **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $1^1/_2$—2.
[illegible]	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.
კანის და ვენ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman**. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შინაშინჯვა და სხვა [illegible] ვ. 1035

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნე. პლექტა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: ხოლოდკი, ბებუთოვის ქ., № 23 (ცხნოვის ქ. კუთხე).

ტელეფ. № 7—93. 97

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ **ცნობილი**

პასხალიდის აბრეშუმის თესლი

ჩვეულებისამებრ **იყიდება მ. გ. რუსიძის კანტორაში,**

ბათუმში, მარინსკი პროსპექტზე, საკუთარ სახლში № 10.

სამუდამო და შეურყეველი გადაწყვეტილება: თესლს რაც უფრო ადრე დაიბარებენ მყიდველები, იმდენად უფრო იაფად შეიძენენ, რაც გვიან, იმდენად ფასი მატულობს. **პასხალიდის თესლის მუდმივ მყიდველებს** კ ნტორა ამით მოაგონებს, რომ თესლი დროიანად დაიკვეთონ, ვინაიდან, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, ბალკანეთის ომის გამო, წელს თესლების გამოსასვლელი გზა დაკეტილია (მხოლოდ მცირეოდენმა გამოასწრო გზის დაკეტვას), რის გამოც მოსალოდნელია, ბევრი მეაბრეშუმე დარჩეს უთესლოთ.

ტფილისისა, ქუთაისისა და ბათუმის გუბერნიების ერთად-ერთი წარმომადგენელი პასხალიდის აბრეშუმის თესლისა **მ. გ. რუსიძე.** 1079

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“-ზე.

წელიწადი მეცხრე.

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი

მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან** ✦ **„ბიძია თომას ქოხი“,** ✦ სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 40-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

1140 რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი**

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„მამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად შენებულ ეკლესიისა და ციდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანესძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სადამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

არსდება

ტფილის. ქართველ მუშათა მომღერალ - მგალობ. გუნდი

მიხ. კავსაძის ხელმძღვანელობ. თ. მიღება და ჩაწერვა სულ მუდამ: კვირაობით, ოთხშაბათ. და შაბათობით, ჩერქეზიშვილის ანუ ავჭალის ქ., № 29, ს. ღ. 5—7 საათამდე. 1129

ბუფეტი „სატივო“

ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.

✦ **აზიური საჭმელები**

ახალის სანოვაგისა ✦

ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის. **ფასები ძლიერ ზომიერია.** 1114

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საზარდე ორგანოთა, ათაშანგიან დაავადებ. ავადმყ.; **ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელიზაბედ. ქ.**, № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი შ. ა. მიქელაძე.

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე სადამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ. № 6.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ საათ.

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასირჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“ 1053

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., სადამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 40. წ. 1022

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 2. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მთაწმინდის ქუჩა, № 3, სახ. გაბაშვილისა.

სამტრედიაში

ექიმი ი. ქ. აბულაძე

იღებს ავადმყოფ. ყოველ დღე, აგრეთვე **სწამლობს „606“ და „914“.** 1118

ექიმი კბილისა **ნინო ჩხიკვაძე**

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაჭარაშვილისა

კბილის ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და სადამოთი 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ. № 12 1334

ექიმი ქუთაისში **ვ. თ. ტყეშელაშვილი.**

ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ქართული პრესა

ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ რამდენისამე დღის წინად აღვნიშნეთ კიეველ სტუდენტის რეფერატი, რომელშიაც ნათქვამი იყო, ჩვენი იდეიური მოწინააღმდეგეების პროგრამის პირველი მუხლი მფარველობითი სისტემის შემოღება არისო. ჩვენ ძალიან დიდი და სამართლიანი ეჭვი შევიტანეთ ამ განცხადებაში და სამართლიანად შევნიშნეთ, რომ შეუძლებელია „პროგრამის პირველი“ და საზოგადოდ რომელიმე მუხლი ესეთი იყოს. „დილას“ განსვენებული არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა მეოთხე ტომი გადაუშლია და ამოუღია შემდეგი სტრიქონები:

„ასე რომ პირველი მუხლი ჩვენი პროგრამისა მფარველობითი სისტემის შემოღებაა ქართველი ვაჭრების გასამრავლებლად და გასამაგრებლად.“

ამოსწერა ეს სიტყვები „დილამ“ და ჰგონია, დიდი რამ აღმოაჩინა. ჩვენც ვიცოდით ამ სტრიქონების არსებობა, მაგრამ ვიცოდით ისიც, რომ „დილა“ კიეველ რეფერენტის მსგავს არა კეთილსინდისიერებას გამოიჩენდა ჩვენი საზოგადოებრივი ჯგუფების დახასიათებაში. არჩილ ჯორჯაძე ამ სტრიქონებს სწერდა მაშინ (1901—1902 წ.), როდესაც პროგრამა სრულიადაც არ იყო შემუშავებული. ჯგუფი მაშინ ისახებოდა, ირკვეოდა. ასეთ ხანაში შესაძლებელია ჩამოყალიბებული ერთსახეობა არ ყოფილიყო აზროვნებისა, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს შემდეგშიაც, როდესაც ჩამოყალიბდა ჯგუფი, ასე ყოფილიყოს. პირვანდელი აზროვნება არჩილ ჯორჯაძისა არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, და ვინც ამ აზროვნებას თვით არჩილ ჯორჯაძის მთავარ აზროვნებად ჩასთვლის, იგი აუცილებლად კეთილსინდისიერებას უღალატებს. გარდა ამისა, არჩილ ჯორჯაძის იმ დროინდელი აზრები ყოვლად შეუძლებელია ჯგუფის საერთო შეხედულებად ჩაითვალოს. ვისაც პირუთვნელი და კეთილსინდისიერი კრიტიკა ჰსურს, უსათუოდ უნდა მიმართოს პროგრამას და პროგრამულ წერილებს.

ასეთი წერილები კი არჩილ ჯორჯაძეს ძალიან ბევრი ჰქონდა, თუ მკვლევარი კეთილსინდისიერად მოისურვებს იდეიურ მოწინააღმდეგეთა სულის კვეთების დახასიათებას.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ მეფის მოადგილემ შუამდგომლობა აღძრა, დაარსოს ამიერ კავკასიის ერთ-ერთს ქალაქში კიდევ ერთი **საკადეტო კორპუსი.**

✦ სამშაბათს, 23 აპრილს, დილით, ქართულ თეატრში ბ-ნი სარგის კაკაბაძე წაიკითხავს საჯარო ლექციას შოთა რუსთველის შესახებ. ლექციის შემდეგ გაიმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ბ.ბ. ექ. თაყაიშვილი, მ. ჯანაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ი. აბულაძე და ს. გორგაძე. შემოსავალი გადადებულია, „ვეფხის ტყაოსნის“, ახალ ტექსტის გამოსაცემად, რომელსაც ამზადებს ბ-ნი კაკაბაძე.

✦ **ხარფუხის ახალი კლუბი.** ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა „ხარფუხის საზოგადო კლუბის“ წესდება. ამ ახლო მომავალში განზრახულია საზოგადო კრების მოწვევა. წევრების ჩაწერა შეიძლება მე-5 ნაწილში, აბანოს ქუჩაზე № 6 ხარფუხის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის კანტორაში. ყოველივე ცნობის მიღება შეიძლება იქვე.

✦ **ახალ ბაიაზეთში** დილის $6^1/_4$ საათზე მიწა იძრა.

✦ დეპეშათა პეტერბ. სააგენტო იტყობინება, რომ **სურახანაში** ასადულაევის სამრეწველოში ნავთის შადრევანმა ამოხეთქა. ყოველ-დღე ისვრის 300,000 ფუთ წმინდა ნავთს.

✦ ქალაქის თვითმმართველობაში აღდგომის გამო მუშაობა შესწყდება 11-დან 17 აპრილამდე.

✦ **საბირჟო ცნობები.** 9 აპრილს შეთანხმება არ მომხდარა. სარგებლიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მან. 65 კ., აძლევენ—85 მან. 45 კ.; ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. 25 კ. აძლევენ—82 მან. 60 კ., და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—79 მან., აძლევენ—78 მან. 25 კ.

✦ **ა. ვ. კრივოშეინი,** მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მომწყობის სამინისტროს მთავარი გამგე, 8 აპრილს სადარბაზოდ იყო მეფის მოადგილის თანაშემწეებთან გენერალ პ. ნ. შატილოვთან და სენატორ ვატაცისთან და საქართველოს ექსარხოს ინოკენტისთან.

✦ ქალაქის გამგეობამ შესაფერი ღონის-ძიებანი მიიღო, რათა ჩარჩვაჭრებმა უქმეებში შემოტანილი **სურსათ-სანოვაგე** ხელოვნურად არ გააძვირონ. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სალდათის ბაზარსა და ავლაბრისა და ერევნის მოედნებს.

✦ **ტრამვაის გამოსყიდვის გამო.** ქალაქის გამგეობამ დაამზადა მასალები, რომელიც შეეხება ტრამვაის გამოსყიდვის საკითხს და ცალკე წიგნად დაბეჭდა. გამოსყიდვის საკითხის განსახილველად 12 აპრილს, დილის 11 საათზე, ქალაქის საბჭოს დარბაზში შეერთებული კრება მოხდება ქალაქის გამგეობისა და საფინანსო, სატეხნიკო, სარევიზიო და სატრამვაიო კომისიებისა.

✦ ქალაქის მთავარმა ბუჰგალტერმა ა. მ. ბოვშიკმა ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა **სააღდგომო საჩუქრები** დაერიგებინათ ქალაქის თვითმმართველობის იმ მოსამსახურეთათვის, რომელნიც 75 მან. ნაკლებ ჯამაგირს იღებენ. გამგეობამ შუამდგომლობა არ შეიწყნარა.

✦ **ექსკურსია.** 7 აპრილს სამიწისმზომელო სასწავლებლის უფროს კლასების მოსწავლეებმა მასწავლებლების ხელმძღვანელობით ავჭალის წყალსადენი დაათვალიერეს.

✦ **თეკლათის მონასტრის შესაკეთებლად** (გურია-სამეგრელოს ეპარქიაში) უწმ. სინოდმა 1,000 მან. გადასდო.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება,** რომელიც დღეისთვის იყო დანიშნული, სხვა დროისთვის გადაიდო.

სასწავლებლებში

✦ მარტის განმავლობაში ერევნის ეპისკოპოს ჰიმენს 60 სასწავლებელი დაუთვალიერებია და 96-ჯერ დასწრებია სამღვთო-სჯულის გაკვეთილებს.

ბ. გრ. დიასამიძის პასუხი

როგორც მოსალოდნელი იყო, ბ. გრ. დიასამიძემ უარჰყო თავისი წინანდელი განცხადება: წინად დაბეჯითებით სწერდა: „ცნობ. ფურცელმა“ არ დაუბეჭდა ილიას „მოგზაურის“ საპასუხო წერილიო; ეხლა კი სწერს: „როდესაც დაიბეჭდა ფ. გოგიჩაიშვილის „ივერიაში“ ცალკე

დამატებად ილიას პასუხი სათაურით „ნუ-თუ?“ მაშინ ქართველ საზოგადოებაში გავრცელებული იყო ხმა, რომ „ცნ. ფ.“ რედაქციამ ილია ჭავჭავაძეს პასუხი არ დაუბეჭდაო. ეს ჩვენ კარგად გვახსოვს... რამდენად მართალი იყო ეს ხმა, ეს ჩვენ არ ვიცით“...

ამით რომ გაეთავებინა ბ. დიასამიძეს, მისი პასუხი მოსაწონიც იქნებოდა და დამაკმაყოფილებელიც. მოსაწონი იმიტომ, რომ ყოველთვის შეიძლება ჟურნალისტს, მეტადრე პოლემიკის დროს, შეცდომა მოუვიდეს და მოსაწონია, როცა მერე ამ შეცდომას აღიარებს და გაასწორებს; ხოლო დამაკმაყოფილებელი იმიტომ, რომ ჩვენც ვიცით, ბ. დიასამიძემაც და ყველამაც, რომ მითქმა-მოთქმა და ხმა არავითარი საბუთი არაა, არავის საბუთს არ აძლევს დაბეჯითებით სთქვას—ეს ასე იყოო და არა სხვანაირად. მაგრამ, ბ. დიასამიძემ ის მოკლე პასუხი არ იკმარა და გასამართლებელ საბუთების ძებნას შეუდგა. ვნახოთ, რა ღირებულებისაა ეს საბუთებიც.

ბ. დიასამიძე შემდეგ ეჭვს აცხადებს: „ილიას შეეძლო არც კი გამოეგზავნა „თავისი ნაწერი რედაქციაში და „ცნ. ფ,“ რედაქციასთან დაახლოვებულ რომელიმე პირისათვის ეკითხა, დაუბეჭდენ მას თუ არა პასუხს, ასე რომ ძალიან ადვილად შესაძლებელია, რომ თვით გ. ლასხიშვილამდე არ მისულიყოს ეს ამბავი“. დაბეჯითებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ **ყოვლად შეუძლებელია** ასეთი რამ მომხდარიყოს. იმ ხანებში რედაქციაში, რედაქციის წევრები, ვიყავით: რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი, სამს. ფირცხალავა, გრ. რცხილაძე, განსვენებული ვლ. ლორთქიფანიძე, ილია აგლაძე, ილია ნაკაშიძე და მე; გარედან გვეხმარებოდნენ ჩვენი უახლოესი ამხანაგნი: კიტა აბაშიძე, განსვენებულნი არჩილ ჯორჯაძე, შიო ჩიტაძე და ორიოდე კიდევ სხვაც. არცერთი მათგანი არ იკადრებდა მეტად მძიმე პასუხისმგებლობას, რომ თავის ინიციატივით, ამხანაგების დაუკითხავად, უარი ეთქვა ილია ჭავჭავაძესთვის. ეს შეუძლებელია. რომ კიდევაც გაებედნა ვისმეს კოლეგიის დაუკითხავად ასეთი მძიმე საქმის მარტო გადაწყვეტა post factum მაინც გავიგებდით ამისთანა ამბავს, მით უმეტეს, თუ ქართველ საზოგადოებაში ამაზე დიდი მითქმა-მოთქმა იყო, როგორც ბ-ნი დიასამიძე გვარწმუნებს. ჩვენს რედაქციაში ყოველთვის დიდი თანხმობა და კოლეგიალური დისციპლინა იყო; ასეც რომ არ ყოფილიყო, ილიას ხელნაწერს, ილიას პასუხს ყოველი ჩვენგანი იმდენის სიფრთხილით მაინც მოექცეოდა, რომ მარტო უარს ვერ ეტყოდა. ყოვლად შეუძლებელია ამასთანავე, რომ ილიას პასუხი არ წაგვეკითხა და ისე, ზეპირად გვეთქვა—არ დაიბეჭდებაო. მე არ ვფიქრობ, რომ რომელსამე რედაქციაში შესაძლებელი იყოს ეს. კარგად მახსოვს, რომ მთელი ჩვენი რედაქცია შეწუხებული იყო იმ საზიზღარ კორესპონდენციებით, რომელიც „მოგზაურში“ იბეჭდებოდა და მოუთმენლად ველოდით ილიას პასუხს, რომლის გამოსვლაზე უკვე იყო ლაპარაკი საზოგადოებაში. ნუთუ შესაძლებელია რედაქციას, ან რედაქციის რომელსამე წევრს, ამ პასუხის წაუკითხავად ეთქვა უარი ილიასათვის? დაბეჯითებით ვამბობ, რომ ასეთს ფაქტს ადგილი არ ჰქონია; არც მე, არც გრ. რცხილაძეს, არც ილია ნაკაშიძეს, არც კატა აბაშიძეს, რომელთა გამოკითხვა შევიძელი ჯერ-ჯერობით, არ გვახსოვს ეს ფაქტი და არც არავითარი მითქმა-მოთქმა ამის შესახებ არ გაგვიგონია.

მე ვფიქრობ, გრ. დიასამიძე, თუ დაუფიქრდება საკამათო საგანს და თუ ჟინიანობას არ აჰყვა, თვითონაც დამეთანხმება, რომ შეუძლებელია მისი ეჭვი მართალი იყოს.

შემდეგ ამისა ბ. დიასამიძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ ილია უკმაყოფილო იყო „ცნ. ფურცლისა“. რა კავშირი აქვს ამას ჩვენ სადავო საკითხთან, არ მესმის. ცხადია, ნათელსავით ცხადია, რომ ილია უმადური უნდა ყოფილიყო, რომ პრესსამ ის არ დაიცვა უსამართლო ბრალდებისაგან. გარდა ამისა, ილია საზოგადოთაც არ იყო „ცნ. ფურცლით“ კმაყოფილი: არ მოსწონდა მისი უკიდურესობა. (სხვათა შორის, ესეც ამტკიცებს, რომ თავის პასუხს ჩვენ არ გამოგვიგზავნიდა, არამედ უფრო მახლობელს „ივერიას“). იმის დასამტკიცებლად, რომ ილია უმადური იყო „ცნ. ფურცლისა“, გრ. დიასამიძე იმოწმებს მკვდრებსაცა და ცოცხლებსაც. ვარწმუნებთ, რომ არც მიქელაძის, არც ჯანდიერის, არც ლეისტის, არც ვინმე სხვისი მოწმობაა საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ ილია უკმაყოფილო იყო; ხოლო იმას თუ დაამტკიცებენ მის მიერ მოყვანილი მოწმეები, რომ ჩვენ პასუხი არ დაუბეჭდეთ,—ეს სხვა საქმე იქნება. მაგრამ, ვეჭობთ, რომ ამის დამტკიცება შეიძლებოდეს.

დანარჩენი ნაწილი გრ. დიასამიძის პასუხისა სრულებით უადგილოა და საგანს არ შეეხება. რომ ჩვენ დამნაშავე ვართ დიდებულ მგოსნის წინაშე,—ეს ყველაზედ უწინარეს ჩვენ თვითონ ვაღიარეთ და მრავალჯერ გაგვიმეორებია. რა საჭიროა გრ. დიასამიძის წამოყვედრება ჩვენივე სიტყვებით, როცა ჩვენი სინიდისი არ გვაძლევს მოსვენებას, როცა არაფერს არ შეუძლიან ჩვენი მეხსიერებიდან ამოფხვრას ის საშინელი ამბავი?!.. მაგრამ, უცნაური ისაა, რომ გრ. დიასამიძე თავისთვის ადვილად ჰპოულობს „გასამართლებელ გარემოებას“, ჩვენ კი შეუბრალებლად ჯვარს გვაცმევს. მე გაზეთი არა მქონდა, რომ ილია დამეცვაო. არ ვიცით, რამდენად ყურადსაღებია ასეთი თავისმართლება, მაგრამ იმას კი ვფიქრობთ, რომ გრ. დიასამიძეც არ მოელოდა, ალბად, მაშინ, თუ „მოგზაურის“ საზიზღარ კომპანიას ილიას წინააღმდეგ ისეთი საშინელი შედეგი მოჰყვებოდა. რომ ჰგონებოდა, ჩვენ მაინც, თავის მაშინდელ ახლობელთ, ძალას დაგვატანდა ან გვირჩევდა ილიას დაცვას. საქმეც ის არის, რომ მაშინ არც ჩვენ, არც ბ. დიასამიძეს და არც არავის ფიქრადაც არ მოგვსვლია, რომ გაჩნდებოდა ისეთი დეგენერატი, რომელიც საზიზღარ ცილისწამებას დაუჯერებდა და რომლის ბნელ გულში ილიასადმი ისეთი ფანატიკური მძულვარება აღიზრდებოდა. ეს რომ გვგონებოდა დარწმუნებული ვართ, სხვარიგად მოვიქცეოდით ისინიც, ვისაც გაზეთი გვქონდა, ისინიც, ვისაც გაზეთი არა ჰქონდა...

დასასრულ ორი სიტყვა ბ-ნ ია—ეკალაძის წერილობით მოწმობის შესახებ: გვაპატიოს ბ. ია—ეკალაძემ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ იმისი დაბეჯითებითი მხილებაც მარტოოდენ მითქმა-მოთქმასა და ხმებზე უნდა იყოს დაფუძნებული; ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ თვით „ივერიის“ მაშინდელს რედაქტორს ბ. ფილიპე გოგიჩაიშვილს ისე ახსოვს—ილიამ პირდაპირ „ივერიას“ გამოუგზავნა თავისი პასუხიო.

გ. ლასხიშვილი.

დაუვიწყარ არჩილზე

გაზ. „კოლხიდა“-ში დაბეჭდილია მოგონებანი ბ-ნ დ. მესხისა. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები:

„ჩემ მახსოვრობაში ჩემი ქვეყნის ოთხი დიდი უბედურება წარუხოცელად აღბეჭდილია,—ოთხი მწარე მოვლენა, ოთხი სიკვდილი, რამაც შავი ზოლი მოავლო ჩემს ტანჯულს ქვეყანას, შავი სუდარა გადააფარა მას.

ეს ოთხი გულის ამაკვნესი ფაქტია ვერაგულად სიცოცხლის მოსპობა ორი მოჭირნახულე, ერისთვის თავდადებული მოხუცის დიმიტრი ყიფიანის და ილია ჭავჭავაძისა, რომელთა **მოკვლამ**, მოჰკლა თვით სიმართლე და სამართლიანობა ჩემი ერისა, წარმოუდგენლად და სასტიკად დასაჯა ჩემი ქვეყანა.

მესამე იყო კვალწმინდად დაკარგვა, მოსპობა ივანე მაჩაბლისა, აწ ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე ქვეყნის საიმედო შვილისა...

მეოთხე—არჩილი...

თუ საზოგადო მოღვაწეთ და ქვეყნის მოამაგეთ ჩამოვთვლით, იყო მეხუთეც—სერგეი მესხი... მაგრამ აქ პირადი გულის წუხილიც ჩაერევა, ნათესავური გრძნობის ტკივილი, ძმის ცრემლი და არას ვიტყვით მასზე.

მახსოვს სხვა ზარალიც ჩემი ქვეყნისა, სხვა გლოვაც ერისა, მაგრამ მე უფრო მწარედ, სულის კვნესით მაგონდება ნახსენები ფაქტები...

შავ-ბნელ ასოებით აღბეჭდილია ერის გულში ეს სამი **სიკვდილი**. და ამის მოგონებით შავი გლოვის არშია ჩვენს ქვეყანას არ მოშორდება, სანამ ქართველი ერი იცოცხლებს.

დღეს შიში და მორიდება აღარაა მისი, რომ ავადმყოფი არჩილი ან თვით წაიკითხავს გაზეთს, ან პატარა, ცქრიალა მომვლელს წააკითხებს და მინდა ყველაფერი ავწერო, რაც ვნახე, ბათომში რომ ვიყავი დაუვიწყარი არჩილის სანახავად.

კვირა იყო, დილის მეშვიდე საათი, როცა სასტუმრო „ფრანციის“ კარებს მივადექი.

არჩილი რომ ვიკითხე, სასტუმროს მსახური დაფაცურდა და სიამოვნებით მახარა:

— უკეთაა, ბატონო, ცოტა უკეთ, ძალიან ავათ იყო, ახლა კი...

მსახურის ასეთმა შეხვედრამ დაამოწმა არჩილის მეგობრობის—გიორგი ლასხიშვილისა და კიტა აბაშიძის—ნათქვამი ქუთაისში—არჩილი ძალიან კმაყოფილია ბათომელების ყურადღებითო. სასტუმროს მსახურნი ყურადღებითა და სიხარულით ეგებებოდენ ყველას, ვინც არჩილის სანახავად მიდიოდა სასტუმროში.

მაგრამ, რაც უკეთ იყო, ვნახე...

ულმობელი სენით დაუძლურებულმა, შესვლისას ვერ მიცნო... ჩვენი პირველი გაცნობაც უცები იყო, მალე დავშორდით ერთმანეთს. აღარ მოვაგონდი. გავახსენე, გადავეცი სალამი მეგობრების, რედაქციის კოლეგიისა... სიამოვნების გრძნობა დაეხატა მიმქრალ სახეზე და ეს გრძნობა მისმა დიდრონმა, ლამაზმა თვალებმა გამოსახა.

— არ ვიცი, ღირსი კი ვარ ამდენი ყურადღებისა... ნამეტნავად ქუთათურები... აი!—და თვალით მაჩვენა დასტად დაწყობილი დეპეშები იქვე პატარა სუფრაზე.—აქაც, ბათომშიც ყველა თავს დამსტრიალებს... ძალიან, ძალიან მადლობელი ვარ ყველასი...

— რა მადლობელი ვარ ყველასი... ეგ სალამია, რო მამხნევებს... სილოვანი ხო არ მემდურება?..

— აბა, რას ამბობთ, პირველი სალამი მისგან მომაქვს..

თვალები დაუნამდა... ქუთუთოს ნაპირებზე ცრემლი მოადგა... პირი ვიბრუნე, მეც შემეშინდა ჩემი ცრემლებისა და ავდექი.

— მიდიხართ... აბა, რა სასიამოვნოა ჩემი ხველების ყურება... მაპატ...

— აბა, რა სათქმელია, ნეტავი კი თქვენ არ...

აღარ მახსოვს, რა ვუთხარი...

— ჯერ ხო არ აპირებთ ქუთაისისაკენ.. კიდევ მნახეთ...

— საღამომდე აქა ვარ, კიდევ შემოვალ...—და საჩქაროდ გამოვედი...

ცრემლი დავტოვე მისი ოთახის კარებთან...

საღამოს მივედი, სიცხეს აეწია...

სიცხიან გარინდული თვალებით არჩილი ერთს წერტილს დააშტერდა... ჩამოვარდა დუმილი, სიჩუმე დამტანჯავი, მწარე ნაღველის მომგვრელი...

...გამოვემშვიდობე... მეგობრული სალამი დამაბარა ამხანაგებთან, მადლობის გრძნობით მიჭერდა ხელზე ხელს...

გამოვემშვიდობე საუკუნოდ..

სევდით მოცული, გულ-ამღვრეული ჩამოვედი ქუთაისში... ვისთვის რა იმედი უნდა მეთქვა, რით მენუგეშებინა...

წმინდა სანთელივით დნებოდა არჩილ ჯორჯაძე ბათომში... მალე სულ ჩაქრებოდა ეს სანთელი, ვგრძნობდი ცხადად... არსაით იყო საშველი...

და ჩაქრა კიდეც...

და შეიქნა გლოვა... გლოვა და ცრემლები...

მაგრამ ყველა ცრემლზე უფრო მწვავეთა და მწარედ პირადად მე სილოვანის ცრემლი ვნახე.

ორი კვირა არ შემოსულიყო რედაქციაში. არჩილის სიკვდილის მეორე დღეს შემოვიდა.

— მადლობა ღმერთს!—მეთქი.

— ეჰ, გაჭივრებამ შემომიყვანაო, —და ამოიღო წერილი, — ხვალის ნომერში გაუშვიო...

დაიწყო კითხვა... პატარა წერილი შუამდი ვეღარ ჩაიკითხა და გადმოსკდა ცრემლები... ატირდა გულამოსკვნით...

ორივე კარგა ხანს შევტიროდით ერთმანეთს... ხოლო ჩემი ცრემლები სწორედ მისმა ცრემლებმა გამოიწვია... ის არჩილს სტიროდა, მე კი მის გულწრფელ გრძნობას, მის წუხილს ვადენდი ცრემლს.

დ. მესხი.

ტფ. ქალაქის საბჭო

8 აპრილის კრება

კრება საღამოს 8 საათზე დაიწყო ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით.

საბჭომ 1,000 მან. გადასდო ცეცხლის მქრობელ რაზმისთვის ცხენების შესაძენად, თანახმად ქალაქის გამგეობის დადგენილებისა.

მცირე კამათის შემდეგ საბჭომ უცვლელად მიიღო ქალაქის გამგეობის დადგენილება: 1) გამოიკვლიონ საქალაქო მიწების ნიადაგი და 4) 3,000 მან. გადასდონ ამ მიწების ექსპლოატაციის პროექტის შესადგენად.

„კრუჟოკ“-ის შენობის საკითხი საბჭომ ამ გვარად გადასწყვიტა: დაადგას შენობას მესამე სართული, რაც 65,200 მან. ხარჯს მოითხოვს და ახალ ვადით მიაქირავოს „კრუჟოკ„ს ეს შენობა წელიწადში 15,000 მან.

ნესტორ ცერცვაძის საჩივარი საბჭომ უყურადღებოდ დასტოვა.

შტატ გარეშე დარჩენილ 13 მეფარნეს საბჭომ შემწეობად დაუნიშნა 1, 265 მან.

ამის შემდეგ საბჭომ დაადგინა, სთხოვოს გამგეობის წევრს მ. ნ. ათაბეგოვს, სამართალში მისცეს ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურედ ნამყოფი ალექსანდრე თეიმურაზოვი, რომელმაც საქალაქო მიწები მიითვისა და ბანკში დააგირავა.

მისცენ თუ არა სამართალში ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწედ ნამყოფი მ. ზ. ქანანოვი, ამ საკითხის გადაწყვეტა საბჭომ საიურიდიო კომისიას მიანდო.

ქართულ სასოფ.-სამეურ. საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

(დასასრული*)

თ. ქუთათელაძე. ინსტრუქტორები ჩვენს განკარგულებაში არის იმიტომ, რომ საითაც საჭიროება მოითხოვს, იქით გავგზავნოთ. ინსტრუქტორის გაგზავნა კახეთში საჭირო იყო. ბ. მაჩაბელს რომ საბჭოსთვის შეეტყობინებინა, უეჭველია მაშინვე ვიღონებდით რამე.

ბ. კანდელაკი. ბ. იოსელიანმა ხაზინადარს უსაყვედურა. მაგრამ ეს მე არ შემეხება. მე საბჭოს წევრი არ ვიყავი და როგორ შეეძლოთ ჩემთვის ხაზინადრობა ჩაებარებინათ. მე მხოლოდ საბუღალტრო წიგნებს ვაწარმოებდი. რაიცა შეეხება ანგარიშს, იგი ძალიან სქემატიურად არის შედგენილი. ანგარიში ისეთია, თითქოს მოქმედებდა საბჭო, და არა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. უნდა ყოფილიყო აღნიშნული სექციების მოქმედება. მართალია „სახალხო გაზეთში“ დაწვრილებითი ცნობები იბეჭდება, მაგრამ ყველა წევრი შეიძლება არ კითხულობდეს სოფლებში, ანგარიში კი ყველას მიუვა. ვიცით, რომ აგრონომებმა თავიანთი მოქმედების გეგმა წარმოადგინეს, მაგრამ საბჭოს აზრის გაგებაც საჭირო იყო. მეურნეთ საანკეტო ფურცლები დაურიგდათ და რა შედეგი მოჰყვა ამას, არ ვიცით; ლონდონში სააგენტო ბევრი დაარსდა, მაგრამ როგორ მოქმედებს, ეს კი არ ვიცით. აგრეთვე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საწევრო გადასახადს.

ვ. რცხილაძე. ყველა ნათქვამიდან გადასაწყვეტად ერთი კითხვა იქმნა წამოყენებული: ანგარიშები ვრცლად დაიბეჭდოს. სანამ ანგარიშის კითხვას შევუდგებოდი, კრებას მოვახსენე, რომ ანგარიშის ვრცლად დაბეჭდვა დიდ ხარჯს გამოიწვევდა, რადგან დასაბეჭდი მასალა ძლიერ დიდია. კრებამ პრაქტიკული საკითხი უნდა გადასწყვიტოს: დაიბეჭდოს თუ არა ანგარიში? ჯერ რაც გაზეთში და ჟურნალში დაბეჭდილია, ისიც დიდ მასალას შეადგენს; რასაკვირველია მომავალ ისტორიკოსისათვის შეიძლება კარგი იყოს, მაგრამ ხარჯი მეტად დიდი იქნება. მართალია აღნიშნული არ არის, რომ წინამძღვარიანთკარის სკოლაში ინსტრუქტორი გავგზავნეთ და მადლობაც მივიღეთ ი. წინამძღვარიშვილისაგან. სიის საწინააღმდეგოც არა მაქვს რა. რაც შეეხება ხაზინადრის არ ყოლას და თანამდებობის გადაცემას, აქ შენიშვნაში შეცდომა არის. ბ. კანდელაკს მხოლოდ წიგნების წარმოება მიენდო. არსებითად კი ანგარიშში არაფერი არ არის გამოტოვებული.

ანგარიშის შესახებ ილაპარაკეს ე. კარბელაშვილმა, ი. ქუთათელაძემ, თავ. ვაჩნაძემ, ვას. რცხილაძემ და თავ. ლ. ჯანდიერმა. ბოლოს კრებამ ანგარიში დაამტკიცა და 1913 წლის

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 867.

ქართული სკოლის ყბად აღების გამო

ბ. სპილიოტის და მის დამქაშთა ინტერესი მოითხოვს, დამტკიცდეს, რომ რუსის ფეხის შემოდგმამდე საქართველოში სწავლა-განათლება და სკოლა არ ყოფილა და წყვდიადი უმეცრებისა გაფანტულა მხოლოდ მათი მოღვაწეობით.

მართალია, სპილიოტების მოსვლამდე საქართველოში რუსული სკოლა არ ყოფილა, მაგრამ სწავლა-განათლება არ ყოფილიყვეს, ან ხალხს არ სცოდნოდეს სწავლის ძალა და მნიშვნელობა, ასეთ ლათაიებს იტყვის ის, ვინც განგებ იბრმავებს თვალსა, რომ არ დაინახოს ცხოვრების სინამდვილე, ან ის, ვინც გონებით სრულიად ბეცია.

რუსობამდე სკოლას ერქვა **სასწავლო**, მასწავლებელს—**მსწავლელი**, გაკვეთილს—**განარკვი** და მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნიდან, როცა გაძლიერდა საქართველოში კათოლიკობა, მისი გავლენით შემოვიდა **სხოლა** და მის მმართველს ეწოდა **სხოლაპეტი**.

სასწავლო ცალკე შენობას როდი წარმოადგენდა; ყოველი დიდებული ტაძარი იმდროსვე იყო სასწავლო. ტყუილად კი არ ეწოდა გელათს **ახალი ათინა**, ტყუილად კი არ ეტყოდა იოანე შავთელი აბდულმესიას დავით აღმაშენებელსა,

„ვნატრი ელადსა,
თვით მას გელათსა-“ო,

რამდენია მისი საბუთი, რომ ტაძრები ძველად, არა თუ მარტო სასწავლოდ, არამედ სხვა საკულტურო მოღვაწეობისათვისაც ყოფილა გამოყენებული. იქაური ძმობა სწავლობდა ეტრატის გამოყვანას, მის აკინძვას და ყდის გაკეთებას, მხატვრობას, კალიგრაფიას და სხვა; ზოგჯერ ტაძრები სახელმწიფოს გამგეობის პუნქტებადაც ყოფილა, რადგანაც ბინა ჰქონიათ იქ ხელის-უფლებს, რომელნიც ხარჯს ჰკრებდნენ და სხვა საჭირო საქმეეს ასრულებდნენ ხოლმე. იმ ლავრებში, რომელიც საქართველოს გარეშე იყო, მოღვაწე ქართველი მამები, არა თუ მარტო სთარგმნიდნენ და სთხზავდნენ საჭირო წიგნებს, არამედ სახელმძღვანელოებსაც სწერდნენ, აკადემიკოსის ნ. მარრის მოწმობით, შესასწავლად იმ ენისა, საიდგანაც სთარგმნიდნენ, სიტყვების ახსნას და განმარტებასაც მისდევდნენ ჩვენი მწიგნობარი მამები, რომ გაგება ნაწერისა არ გაძნელებოდათ. ზრუნვა-განათლებისათვის ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში ისეთი ძლიერი იყო, რომ მკითხველთათვის იწერებოდა ერთგვარი ქრესტომატიისებური კრებული, სადაც იყო მოთავსებული სხვა და სხვა საინტერესო სამეცნიერო წერილები. ასეთია მაგალითად შატბერდის კრებული, უტყუარი მოწმე მისი, რომ სამოქალაქო ხასიათი ქართულ მწერლობას მეათე საუკუნემდის მიუღია, რადგანაც თარგმნილი ჰქონიათ ფიზიოლოგია, ქრონოგრაფი, ანატომია კაცისა, მინერალოგია და სხვა მეცნიერება, სადაც შესაძლებელი ყოფილა სტატიების გამოკრეფა ქრესტომატიისებური კრებულის შესადგენად. მეათე საუკუნესვე ეკუთვნის დავით ჯიბისძის ტრაქტატი **მოსესხისა და მოვალისათვის**, რომელიც ჰმოწმობს, თუ რა საჭირბოროტო გამხდარა მაშინ ტაოკლარჯეთში მევახშეობა, რომ მწერლობას ყური უთხოვებია.

სომხური ენის მცოდნე მიქელ მოდრეკილი (X საუკ.), შემკრები და გადამწერი საუკეთესო სამუსიკო ხოტებიანი საეკლესიო ქართულ, მეხურ და ბერძნულ საგალობელთა, ბერძნული საქრისტიანო მწიგნობრობის ზედმიწევნით მცოდნე მწერლები ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, პოეტები იოანე შავთელი და ჩახრუხა, არაბულ-სპარსულის კულტურის მოტრფიალე სახელოვანი მწერლები მთქმელი „ვეფხის-ტყაოსნისა“ და მთარგმნელი ვისრამიანისა ნუ თუ არ ჰმოწმობენ იმას, რომ საქართველოს ახალგაზდობა არამც თუ სამშობლოს, არამედ უცხოეთის მწერლობასაც ეტანებოდა. ისტორიამ იცის ის ამბავი, რომ ტაოკლარჯეთის დავით კურაპალატის (X საუკ.) მეფობის დროს მის კარს იყო უწარჩინებულესი დიდებული იოანე, მამა ექვთიმე მთაწმინდელისა, სხვათა შორის ქართული კულტურის ასპარეზზე მოღვაწე, რომელიც შვილს ჰზრდიდა იმ აზრით, რომ ქართველი მწერალი გამოსულიყო. ტაოკლარჯეთის პერიოდში ისეთი სახლობაც კი ყოფილა, სადაც ახალგაზდობის საკითხავად გადმოწერილი ჰქონიათ ბერძნული მწიგნობრობა. საერთოდ ბერძნული სწავლა და ცოდნა იმ დროს ძლიერ მოდებული იყო ქართველთ საზოგადოებაში. ამ გარემოებით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ ექვთიმე მთაწმინდელი მომავალი მნათობი ქართული საეკლესიო მწერლობისა და ხალკედონიტობის მოტრფიალე წინაპართა კულტურის დავიწყებამდე, ჭაბუკობის დროს ისე გაერთო ბერძნულ სწავლაში, რომ ქართულად **„ძნიად უბნობდა“**. წმ. ექვთიმე, († 1028) ათონის ივერიის მონასტრის 14 წლის წინამძღვრობის დროს არა თუ მოღვაწეობდა, რათა შეევსო წიგნთა **ნაკლულევანობა**, არამედ მწყსიდა მონასტრის ძმობას, რიცხვით **სამასიოდე სულსა**. მათ შორის ახალგაზდებს ასწავლიდნენ გარე სოფლად იკონომოსის ზედამხედველობით და როცა დამამაკაცდებოდნენ, გადმოიყვანდნენ მონასტერში. ყრმათა აღზრდის საქმეს შემდეგი წინამძღვარი ათონის ივერიის მონასტრისა გიორგი მთაწმინდელი († 1065) არა ნაკლებ უწყობდა ხელსა. ყრმანი **მშობელთა თვისთა მოიყვანიან და ევედრებიან შეწყნარებად**. გიორგიმ თავს იდვა **საქმე ფრიად მაღალი და საკვირველი უზეშთაეს სჯულისა, მადლისა შემამკობელი და გვირგვინი**. სასწავლოს დანიშნულება იყო, **რათა მრავალნი წიგნნი ერთარგმნნეს**. რაკი მცოდნე იყო, გალობას ასწავლიდა თვით გიორგი მთაწმინდელი. უეჭველია ყრმებს ასწავლიდნენ იმასვე, რაც სასწავლო იყო ბიზანტიაში. ამის უტყუარი საბუთია ის, რომ ყრმათა სწავლებას სათავეში უდგნენ ისეთი ხალკედონიტი ქართველები, როგორც იოანე, მამა ექვთიმესი, თვით ექვთიმე და გიორგი, ყველა მთაწმინდელები. სწავლა უნდა ყოფილიყო ფასიანი, რადგანაც განსვენებული ალ. ხახანაშვილის მოწმობით, **ვისაც ბევრი შვილი ჰყვანდა, უსასყიდლოდ ასწავლიდნენ, ხოლო ობლების აღზრდის საფასურს იხდიდნენ ქველმოქმედნი**. ბერძნულის წიგნის სწავლასთან, უნდა ყოფილიყო ბერძნული გალობის სწავლაცა, რადგანაც როცა გიორგი მთაწმინდელმა ბიზანტიის კეისარს კონსტანტინე დუკიწს აღსაზრდელად მიუყვანილი ობლები წარუდგინა, აგალობა **მჯდომარე ეტლთა ქერაბინთა მეუფე და აწ განმიტევე, უფალო**.

მეფის წმ. დავით აღმაშენებლის დროს († 1125) დაწესდა **ორმოცი** ყმაწვილის საბერძნეთში გზავნა. გარემოება იგი საისტორიო ლექსებშიაც კი არის აღნიშნული

ათენსა სწვრთნიდის ჭაბუკთა
იყალთოს მონასმენთასაო.

საკვირველია, რომ სწავლას ამშვენებდა საეკლესიო მუსიკაც, რომელიც ხალკედონიტების გამოსვლამდისაც უნდა ყოფილიყვეს განვითარებული, რადგანაც ჰყოლია ისეთი მოჭირნახულენი, როგორც იოანე მტბევარ-ეპისკოპოსი, ავტორი ქრისტეს შობის დასდებელთა და თვით მიქელ მოდრეკილი, განმარტოებელი და შემკრები საგალობელთა. დავით აღმაშენებლის დროს განთქმული ყოფილა კიდევ იოანე მინჩხი, როგორც მგალობელთ მოძღვარი და მთქმელი საგალობელთა.

მონგოლთა შემოსევამ XIII საუკუნეში, მართალია, დასცა საქართველოში და სწავლისა ხელოვნების საქმე, მაგრამ იმ დროს, როგორც ჰმოწმობს პატრი მიქელ თამარაშვილი, ავტორი **ქართველთა შორის კათოლიკობის ისტორიისა**, პირველად მოვიდნენ რომის პაპის გამოგზავნილი მისიონერები და შეუდგნენ კათოლიკეთა ეკლესიის დაარსებას საქართველოში, რასაც მოჰყვა აგრეთვე მისიონერთა მოღვაწეობა ხალხის გასანათლებლად. იმ დროიდან იწყება აგრეთვე კათოლიკე ევროპის და ქართველობის უფრო დაახლოვებული ურთიერთობა. მანამდის რომს იცნობდნენ ნასწავლი ქართველები, როგორც მაგ. იოანე პეტრიწი, ფილოსოფოსი (+1128) და შემდგომ ბერი ექვთიმე გრძელი, რომელნიც წმინდა ქალაქის მოსალოცავად ყოფილან წასულნი, და ის მამები, რომელთაც 1250 წ. ათონის ივერიის მონასტრიდან რომს წაუსვენებიათ წმ. მთაწმინდელ მამათა იოანეს, ექვთიმეს და გიორგის გვამები. იტალიაში გაწვრთნილი ქართველები, როგორც ანტონ თუმანიშვილი, გორელი ტულუკაანთ დავითი, რომელმაც ყველაზე უფრო გაითქვა სახელი, და სხვები შეუდგნენ წიგნების თარგმნას ქართულად და სახელმძღვანელოც შემოიღეს ქართული სკოლებისთვის. 1621 წ. ნეაპოლში გამოცემული წიგნი, რომელიც შეუდგენია პატრი პავლე მარია ფაიანცელს და საქართველოს სამეფოთათვის გულწრფელ მოხსენებას წარმოადგენს, მოგვითხრობს, ბერძნული წერა-კითხვა და ენა მარტო მღვდლებმა და განათლებულმა პირებმა იციანო. სჩანს, იმ უბედურ დროსაც, როცა მაჰმადიანობა და სპარსული ენა ისე დამღუპველად მოსდებოდა ქართლ-კახეთსა, ახერხებდნენ ქართველთ სწავლა-განათლების მოჭირნახულენი ბერძნული

ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგა.

ხარჯთ-აღრიცხვა ორი ნაწილისაგან შესდგება:

ნაწილი I: 1) ჯამაგირი ორ აგრონომს 3000 მ., 2) საგზაო მათვე 800 მ., 3) ჯამაგირი ინსტრუქტორს გ. ნახუცრიშვილს 1200 მ., 4) საგზაო მასვე 300 მ., 5) ჯამაგირი ინსტრუქტორს კახელაძეს 600 მ., 6) საგზაო მას და კოოპერაციის წევრებს და აგრეთვე საკოოპერაციო და მერძეობის შესახებ სალიტერატურო მასალების შესაძენად 200 მ., 7) მოსამსახურეთა ჯამაგირი 170 მ., 8) საქმის მწარმოებელს 360 მ.

ნაწილი მე-II. აგრონომიული მოქმედების განვითარება:

A. ქართლში:

ა) მანქანების და იარაღების შეძენა 256 მ., ბ) ბადეები, სპირტი და სხვა წვრილმანი 25 მ., გ) დასათესი ბალახების თესლი 65 მ., დ) თუთის ნერგები 10 მ., ე) მერძეობისთვის მოსაწყო 30 მ., ვ) სააგრონომიო პუნქტის მოწყობა 509 მ., ზ) მანქანების შესაკეთებლად 25 მან., თ) „ვიქის“ თესლი 10 ფუთი, ი) ახალი იარაღები—214 მან.

10) **B. კახეთში:**

ა) მანქანების და იარაღების შეძენა 452 მ., ბ) თესლეულობა 147 მ., გ) დასანოყიერებელი მასალა 157 მ., დ) ნიადაგის შესამოწმებელი იარაღი 49 მ., ე) ბინა და მოსამსახურე 180 მ., ვ) მანქანების და იარაღების გადაზიდვა 75 მ., ზ) საკანცელარიო და მოულოდნელი ხარჯები 75 მან. 11) ქართლში მეხილეობის დარგის მოქმედების განსახორციელებლად—430 მან., 12) ბოსტნეულობის თესლი რაიონებში კერძო მეურნეთათვის დასარიგებლად—100 მან., 13) საკოოპერაციო კურსების მოწყობა (საკოოპერაციო სექციის გამგეობაში)—300 მ., 14) საბჭოს წევრების საგზაოდ—300 მ., 15) ბიბლიოთეკისათვის (მეხილეობ. მერძეობ. სამრეწველო და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა)—100 მ., 16) მანქანებისა და იარაღების დემონსტრაცია, სადაც ამას საბჭო საჭიროდ დაინახავს—150 მ., 17) საზოგადოების ორგანოს გამოცემა—2000 მან., 18) პლაკატების ბროშიურების და სხვ. დაბეჭდვა—100 მან., 19) საკანცელიარო ხარჯი და ქონების შეძენა—100 მან., 20) კაიშაურში მესაქონლეობისა და რძის მრეწველობის სადგურის დასაარსებლად და მოსაწყობად 2500 მან., 21) საცდელ საჩვენებელ მინდვრებისა, სანერგეებისა და სხვა მოსაწყობად, დასამატებლად დეპარტამენტის მიერ მიცემულ თანხასა (ამ რიცხვში მუშებს—600 მან.—5000 მ., 22) თავ. კ. მ. ამირეჯიბს—1000 მან., 23) საიმპ. კავკ. სასოფლო-სამეურ. საზოგადოებას ბინის ქირა - 50 მან., 24) მოულოდნელი ხარჯი—400 მან., 25) საზოგადოების მდივანს ჯამაგირი—1500 მან., 26) ორს ინსტრუქტორს: მესაქონლეობისა დ მეხილეობისას—2500 მან. სულ 25000 მან.

ხმები: ეს ხარჯია. შემოსავალი?

ვ. ი. რცხილაძე ჩვენ შემოსავალზე ლაპარაკი არ შეგვიძლიან. ჩვენი ბიუჯეტის მინიმუმი ჩვენ განვსაზღვრეთ და გვგონია, რომ თავად-აზნაურობა კვლავ დაგვეხმარება. დეპარტამენტი შეგვპირდა 5000 მან., უკვე მოგვცა 2000 მანეთი, მაშასადამე დარჩა 18 ათასი. შარშან თავად-აზნაურობამ მოგვცა 10,000 მანეთამდე და მე მგონია წელსაც შეგვიწყობს ხელსა.

თავ. ვ. მაჩაბელი. იმედი გვექნება საბჭო იშუამდგომლებს, რათა თავად-აზნაურობამ სასოფლო-სამეურნეო თანხიდან მისცეს ფული.

თავ. **დ. ჩოლოყაშვილი**. სასოფლო-სამეურნეო თანხა უკანვე დასაბრუნებელია. თავად-აზნაურობა კი გვაძლევს დაუბრუნებლად ექსტრა ორდინალურ თანხიდან.

ი. ქუთათელაძეს წინადადება შეაქვს აირჩიონ სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, მხოლოდ არა პრეზიდიუმისაგან. ამ კომისიამ შუამდგომლობა უნდა აღძრას, რომ თავად-აზნაურობამ განსაკუთრებული თანხა გადასდოს. კომისიის წევრებად ასახელებს ლ. ჯანდიერს, ვ. მაჩაბელს და გ. ჟურულს.

კ. მაჩაბელი. კომისიას რად უნდა მიეცეს უპირატესობა საბჭოს წინაშე? საბჭომ უნდა იშუამდგომლოს.

ი. ხუნდაძე. საზოგადო კრებამ კომისია უნდა ამოირჩიოს. ეს კომისია იშუამდგომლებს საზოგადო კრების სახელით.

გ. ჟურული. აღნიშნავს ერთს ნაკლს. შეიძლება ეს უსაღსრობით იყოს გამოწვეული. მაგრამ რადგანაც ამოდენა ჯამი საშოვნელია, იმისი მომატებაც შეიძლება. ინსტრუქტორების რიცხვი ძლიერ მცირეა. და გამრავლებული უნდა იქმნას. გვეტყვიან, მომზადებული პირნი არ გვაყავსო; ამიტომ ეხლავე უნდა დავასახელოთ პირნი, რომ ამ პრაქტიკულ მოქმედებისთვის მოვამზადოთ. თუ ეხლავე არ მოვამზადეთ, შემდეგში ფულიც რომ გვქონდეს, გვიან იქნება. შეიძლება ამ ორ-სამ ან ხუთ წელიწადში მოემზადონ, და მომავალში ისინი სწორედ იქნებიან, რასაც მათგან საზოგადოება მოელის ორატორის აზრით საჭიროა კიდევ ჩაემატოს თანხა ორის ინსტრუქტორისათვის. გარდა ამისა შემოაქვს წინადადება რათა საბჭოში ერთი წევრი იყოს მათი წარმომადგენელი. საჭიროა, რომ დეპუტატთა საკრებულომ თვალიც და ყურიც მიაპყროს ამ საზოგადოებას.

ლ. ჯანდიერი. რათა ამოდენა ქვეყანაში მეურნეობამ ფეხი მოიკიდოს, საჭიროა შესაფერი თანხა. წელს თუ ორი ათას ხუთასი თუმანი გვჭირია, მერმისისათვის, როდესაც საქმე გაფართოვდება, მეტი დაგვჭირდება. არ ვიცით კი შემდეგში გვექნება თუ არა ისიც, რასაც ეხლა გვაძლევენ. ამისათვის საჭიროა დღევანდელმა კრებამ მკაფიოდ გამოსთქვას აზრი, რომ თავად-აზნაურობამ მუდმივი თანხა დანიშნოს. წელს და ნახარჯი ორი ათას ხუთასი დაკარგული იქნება, თუ შემდეგში საზოგადოება მოქმედებას შესწყვეტს, ამიტომ, რაც კი სასოფლო-სამეურნეო თანხები მოგვეპოვება ამ საზოგადოებას უნდა მოხმარდეს. მოხსენებაში უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ თავად-აზნაურობამ მუდმივი სათადარიგო თანხა დანიშნოს.

დ. ჩოლოყაშვილი. უნდა მოვახსენო კრებას, რომ როგორც დეპუტატთა საკრებულო, ისე საადგილმამულო კომისია საზოგადოებას დიდის სიმპატიით ეგებებოდა. თავ. ლ. ჯანდიერის წინადადება კამათს არ ითხოვს. ამ საკითხის შესახებ შუამდგომლობა იქნება აღძრული. რაც შეეხება გ. ჟურულის წინადადებას წარმომადგენლის შესახებ, ეს მისაღები არ არის.

გ. გულისაშვილი. სტიპენდიების შესახებ ლაპარაკობს. იმ სტიპენდიებიდან, რომლებიც მრავლად ინიშნება, შეიძლება რამდენიმეს გამოყოფა, რადგან სასოფლო-სამეურნეო დარგისათვის სულ ცოტა სტიპენდიაა.

დ. ჩოლოყაშვილი. ჯერ-ჯერობით ჩვენ თანხა არა გვაქვს. თავად-აზნაურობამ კი სტიპენდიები მოსპო. რაც შეეხება ბ. სარაჯიშვილის სტიპენდიებს, ვთხოვოთ იმ პირთ, ვინც გაანაწილებს. რაც შეეხება თანამშრომელთა გაძლიერებას პროვინციაში, რასაკვირველია, საზოგადოების მიზანია და ზრუნვა, რომ პირველ რიგში ინსტრუქტორების რიცხვი გავამრავლოთ, მეურნეობის ყველა დარგში. საბჭოს გადადებული აქვს თანხა და შეძლების დაგვარად განახორციელებს.

ე. კარბელაშვილი. დიდხანს ლაპარაკობს იმ გეგმაზე, თუ რომლის მიხედვით უნდა იმუშავონ აგრონომებმა და ინსტრუქტორებმა.

ბ. მჭედლიშვილი მოქმედება კახეთის აგრონომისა თელავით არის განსაზღვრული. ორატორის აზრით, ეს მოქმედება უფრო ნაყოფიერი იქნება, თუ ივრის ხეობაში იქნება გადატანილი.

კრებამ მოისურვა ხარჯთ-აღრიცხვის მუხლმუხლად განხილვა. ამიტომ გვიანობის გამო, თავმჯდომარის წინადადებით, კრება პარასკევს, 12 აპრილს საღამოს 7 საათისათვის გადასდეს.

მაკრინე ბატონიშვილი

(მწერალი ქალი მე XVII—XVIII საუკ.)

მაკრინე იყო კახეთის მეფის ერეკლე I-ის ქალი.

ეს ერეკლე, თეიმურაზ I-ის ძის დავითის შვილი, ადრევე დაობლდა ძისი ძმა დათუნა მოკლა როსტომმა 1642 წელს. ერეკლე მაშინ სულ 7 წლისა იყო. დედა მისმა ელენემ ობლები—ერეკლე და მისი და ქეთევანი—წაიყვანა რუსეთს და შეეწყნარა მოსკოვის ხემწიფეს. შემდეგ ეს ქეთევანი შეირთო კახეთის მეფე არჩილმა, ცნობილმა ისტორიკოს-მგოსანმა. ირაკლი რუსეთს დარჩა დიდხანს. შემდეგ მოინდომა კახეთში გამეფება, მაგრამ სიძე არჩილმა ტახტი არ დაუთმო. შემოეხვეწა სპარსეთს წასასვლელი გზა მომეციო. არჩილი დასთანხმდა. დიდებული წვეულობა გაუმართა ცოლის ძმას და გაისტუმრა (1675 წ.). ყაენს იამა. დიდი ჯამაგირი დაუნიშნა. გამაჰმადიანება უბრძანა. არ ითავა სჯულის გამოცვლა. იქ დაჰყო 14 წელიწადი. მერე შეუჩნდნენ კახელები, მეტადრე ჩოლაყაშვილები და ნაცვლიშვილი მღვდელმონაზონი და სჯულის გამოცვლა აკისრებინეს. ყაენის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გამაჰმადიანებულ ნაზარალიხანს ებოძა მეფობა ქართლ კახეთისა (1688 წ.).

იგი ჯერ სპარსეთში იყო, რომ საქართველოს დიდებულებს შემოუთვალა საცოლედ ქალი მომათხოვეთო. ყველანი უარზე იდგნენ, ხასად ქალს ვერ მივცემთო. ჩოლაყაშვილს დაჰპირდა, თუ მომათხოვებ შენს ქალს, ალავერდელობას გიბოძებო. დასთანხმდა და გაუგზავნა ასული ანა. ირაკლი (ნაზარალიხანი) მთელის სახლობით გამაჰმადიანდა. ანასაგან სპარსეთშივე მას დაებადნენ დავითი (იმანყული) ელენე (ბანჯანუმ), მერე ქართლში—თეიმურაზ (ერეკლე II-ს მამა) და სხვა.

ერეკლე I იყო ლირწი, ჰემთვრალე და გარყვნილი კაცი. ძველნი ხელისუფალნი დასცვალა და ახლები დანიშნა. ტფილისი, გორი და სხ. სიმაგრეები სპარსელებს გადასცა და თვითონ ნაგებში ცხოვრობდა ქეიფით განცხრომით, კეკლუცობით და შვებით. აქაური პარსელები კი ძალმომრეობდნენ: ცოლ-შვილს სტაცებდნენ ქართველებს და ტყვედ ჰყიდდნენ, ან აუპატიურებდნენ, არცხვენდნენ.

აი ამ „მეფის“ ქალი გახლდათ მარიამ ყოფილი მაკრინე.

მარიამი (მაკრინე) მისთხოვებოდა თავის მამის სახლთუხუცესს ედიშერ ჩოლაყაშვილს და რომ დაქვრივებულიყო, მოლოზნად შემდგარიყო ალავერდის მონასტერში მაკრინეს სახელ-წოდებით.

იგი არა ჰგავდა თავის მამას. იყო ღვთისნიერი, კეთილი, განათლებული, ქართულის შვენიერი მცოდნე დ ჩინებული მწერალი, მხატვარიც.

მას გადუწერინებია უზარმაზარი ანი სამ დიდ წიგნად (ს. მუზ. №-ები 366, 379 და 380). სამივეში 636 დიდ თაბახიანი ფურცელია. გადამწერლებად ყოფილან ხელოვანი დიმიტრი მგალობლიშვილი და აგრეთვე ზაქარია ქალაჲშვილი.

პირველი წიგნის დასრულებისას (1714 წ.) მარიამი ჯერ არ ყოფილა დაქვრივებული და მესამის დაწერისას კი (1716 წ.), უკვე იხსენიება მაკრინე მარიამ ყოფილად.

№ 366, გვ. 153: „... ბრძანებითა ამბაჲ ალავერდელის ნიკოლოზისათა და წარსაგებელითა საფასეთაჲთა ძმისწულისა მისისა ჩოლაყაშვილის სახლთხუცის ედიშერისა და თანამეცხედრისა მისისა კახის ბატონის ასულის მარიამისითა დაიწერა წიგნი ესე სრული საწელიწადო ქორონიკონს უბ“ (1714 წ.).

სხვა ადგილას (ფურც. 214) „სრულვყავ ... ყმამან და მსასოებელმან მთავარმოწამის გიორგისამან, რომელ არს კახთ მეფისა სამარხოჲ ალავერდს, ძეჰან მდივან-მგალობლიამან თვით მგალობელმან დიმიტრის ბრძანებითა და წარგებითა საფასეთათა ჩოლოყაშვილის კახეთის სახლთხუცის ედიშერისათა და მეუღლისა მისისა მეფის ჰერეკლეს ასულის ბატონიშვილის მარიამისითა (საუკუნომცა არს ხსენებული მათი!), ხოლო ნებითა ბიძისა მათისა ჩოლაყაშვილის ამბაჲ ალავერდელის ნიკოლოზისათა“...

№ 379, ბოლო: „... მე მუშაკსა ამისსა მღდელ-მონოზონს ზაქარია ქალაჲშვილს მექმენ შეწე და მომტევებელ ცოდვათა ჩემთა... დაიწერა წიგნი ესე სრული საწელიწადო ბრძანებითა ამბაჲ ალავერდელის ნიკოლოზისათა და წარსაგებელითა საფასისათა ბატონიშვილის მარიამ ყოფილის მაკრინესათა. საუკუნომცა არს ხსენებაჲ მისი. ქორონიკონსა უდ“ (1716 წ.).

ყოველს წიგნს ხვდება ოთხ-ოთხი თვე:

1-ელს სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი;

მეორეს იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი.

მესამეს მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო.

თვეთა დასაწყისი სიტყვები დიდის ხელოვნებით გამოხატულია თვით მაკრინეს მიერ ქარაგმიან ასომთავრულებით და იქვე შეუნიშნია საკუთარის ხელით:

№ 366, ფ. 1: „მჴედართა შორის მთავართა და მოწამეთა შორის მჴნეო ღვაწლისა მძლეო გიორგი მწერელი ასომთავრულისა ამის ბატონიშვილი მარიამ მოიჴსენე წინაშე ღვთისა, რომელი დავშვერ თვით ხელითა ჩემითა ამის“. **ფურც. 105**: „რომელი დავშვერ ასომთავრულსა ამას ბატონიშვილი მარიამ შენდობაჲ ყავ უფალო შრომისა ამისთვის“.

№ 380, ფ. 49: „წმ. გიორგი, შემიწყალე მშრომელი ამის ბატონისშვილი მარიამ მაკრინად ხმობილი“; **ფ. 145**: მხნეო შორის მოწამეთაო ღვაწლ-მრავალო გიორგი, მოიხსენე ბატონიშვილი მარიამ მაკრინად ხმობილი, მშრომელი ასომთავრულისა ამის“.

ამ ძეგლის გარდა მაკრინეს დაუტოვებია თვისი საკუთარი კალმის ნაწარმოები—იოსებ ალავერდელის პატივად დაწერილი საგალობლები. ეს მშვენიერი თხზულება მარიამ ყოფილის მაკრინესი შეტანილია დიდს საწელიწადო კრებულში (№ 387, 15 სეკტ.).

ეს იოსები—ათცამეტთაგანი მოვიდა შუამდინარით მე-VI საუკუნეში. დასაფლავებულია ალავერდის ტაძარში. მას უგალობს მაკრინე, უთხზავს დასდებლებს (№ 387, გვ. 61).

„... ქვეყანასა ამას მოიწიენით რა, მოჰფენით გულნი დაკორდებულნი და დასთესეთ თესლი ღმრთის-მსახურებისა... სამკაულო ქვეყანისა კახეთისაო, განმანათლებელო დაბისა ალავერდისაო“.

ტროპარი, კმა დ: იხარებს დღეს დღესასწაულსა შენსა ერი ქართველთა...

კონდაკი და იკოსი.

„იხარებდე შუამდინარეო აღმოცენებისა მისისათვის და განსცხრებოდე ქვეყანაო კახეთისაო. შენ შორის ცამ ვიდრებისათვის და უფროსად იშვებდინ დაბაო ალავერდო...“

„დიდებულ არს დაბაჲ მცირე ალავერდი, და მეფენი სასოებითა შენითა სამარხოთა თვისად შემზადებენ, რათა შენთანა გვამთა მართა დადებითა ჰპოონ ბრალთა შენდობაჲ...“

ერთ ადგილას პლ. იოსელიანი ამბობს: ხელთ მაქვსო მაკრინეს მიერ დაწერილი ა) მოწოდება კახელებისადმი სარწმუნოების მტკიცედ დაცვის შესახებ და ბ) მის დროის ისტორიული ნაწყვეტები.

ეს უკანასკნელი თხზულებები ჩვენ ბევრი ვეძებეთ, ვერ ვიპოვნეთ. ვისაც მოეხელება, იმედია, დროით გამოაცხადებს, რომ შეივსოს ცნობები მწერალი ქალის შესახებ.

მ. ჯანაშვილი.

ადესის ამბავი

კვირას, 31 მარტს, ადესის საკათედრო ტაძარში, როგორც დეპეშითაც გატყობინებდით, ქართველ სტუდენტების თაოსნობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი არჩილ ჯორჯაძის მოსახსენებლად.

დაესწრო მთელი ადესის ქართველობა, უბრალო ვაჭრიდან დაწყებული, უკლებლივ ყველა 115 ქართველი სტუდენტი, უმაღლესს კურსებზე მსმენელი ქალები და სხვა. სიტყვის თქმის ნება სტუდენტებს არ მისცეს. წინა დღით ადესის დიდი გაზეთების დამატებებში იყო მოთავსებული არჩილის სურათი, კვირის ნომერში მისი ხსოვნისათვის წერილები. სხვათა შორის, პრივ.-დოც. **ხიმ. ავალიანმა** „ოდეს. ნოვ.“-ში წერილი უძღვნა.

* * *

კვირას, 31 მარტს, ჩვენმა მეზობელმა სომხებმა ადესაში იდღესასწაულეს სომხურ ანბანის მოგონების 1500 წლისა და მწიგნობრობის 400 წლის იუბილეი.

მსახიობ **არმენის** მონაწილეობით სომხურად წარმოადგინეს ტირაციანის ცნობილი პიესა: „ვართან დიდი“ (მეცნ ვართან), 5 მოქმ. პიესა.

შემდეგ წაკითხულ იქმნა **სტუდ. ლევ. მელიქსეტ-ბეგოვის** მიერ რუსულად რეფერატი: „სომხური ანბანისა და მწიგნობრობის მოკლე მიმოხილვა“. რეფერენტმა კარგად გაარკვია აუარებელი საისტორიო მასალა ამ საგნის თაობაზე. სომხური ანბანი შემოღებულია მესროფის მიერ 404—412 წლებში, სწორედ ამ ხანში მოქმედებს ვართან დიდი. მესროფის გამოგონება სასიკვდილოდ განწირული ერის სასიცოცხლოთ გამობრუნების ნიშანია.

რეფერენტი, სხვათა შორის შეეხო ჰიპოტეზას, ვითომ ქართული ანბანიც გამოგონილი იყვეს მესროფის მიერ. რეფერენტმა უარჰყო ეს აზრი და სომხის შოვინისტების მოგონილ ზღაპრად ჩასთვალა. ამ საკითხში რეფერენტი იმ მეცნიერთა მომხრეა, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ ქართული „მხედრული“ განვითარებაა „ხუცურისა“ მე-11 საუკუნეში ქრ. შემ. მწიგნობრობა ძველადვე ყოფილა ჰაისტანში, ჯერ კიდევ ნაციონალურ ანბანის გამოგონებამდე სომხებს საკუთარი იეროგლიფები ჰქონდათ, ბევრი მსწავლული ბერძნულ ენით ვარჯიშობდა. პირველი საეროვნო მწიგნობარნი იყვნენ: კათალიკოსი საჰაკი, მესროფის ხელმძღვანელი, საღვთო წერილის მთარგმნელი, და მამა სომხეთის ისტორიის მოსე ქორონელი.

პირველი წიგნი დაიბეჭდა იტალიაში (ვენეციაში) 13 ოქტ. 1512 წ.

სომხის ქალების გუნდმა ნაციონალური სიმღერები შეასრულეს, მეთარეთა ჯგუფმა მოხდენილათ დაუკრა.

თეატრი სავსე იყო ადესელ სომხობით.

წელს საექიმო ფაკულტეტზედ ეგზამენები 15 აპრილს იწყება, ჩასათვლელი მოწმობა უკვე ყველამ მიიღო. სულ 16 ქართველი ათავებს საექიმო ფაკულტეტს, საერთო რიცხვთან 8½ % შეადგენს, რაც შედარებით დიდია. ესეთი საგრძნობი რიცხვი ჯერ არ ყოფილა; შემდეგი პირები ათავებენ: ანდრიაძე, ბურდული, კაკაბაძე, კანდელაკი, კოპალეიშვილი, კოსტავა, მაჩაბელი, მოსეშვილი, მურმანიშვილი, ნემსაძე, ნიჟარაძე, რეჟავა, ჩომახიძე, ხატირიძე, ცეცხლაძე და ჯაფარიძე.

ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტის დეკანად აირჩიეს პროფ. **მელიქიშვილი**. ეს ადგილი პროფ. პეტრიაშვილის სიკვდილის შემდეგ თავისუფალი იყო, რადგან ყოფილი რექტორი ლევაშოვი მემარცხენე პროფესორის არჩევის შიშით არჩევნებს არა ნიშნავდა.

საკანონმდებლო დაწესებულებებში

სახელმწიფო სათათბიროს ხარჯთ-აღრიცხვა.

სახელმწიფო სათათბიროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, საბიუჯეტო კომისიამ დაადგინა: სათათბიროსთვის ახალი შენობის აგების განზრახვა დროებით გადაიდოს, რადგან მის განხორციელებას ხანგრძლივი განხილვა და დიდი თანხის გადადება ესაჭიროება. კომისიამ უარჰყო აგრეთვე ტავრიდის სასახლეზე საგანგებო სადგომის მიშენების პროექტი და სამაგიეროდ დაადგინა, საფუძვლიანად შეაკეთოს სათათბიროს ახლანდელი სასახლე; სადაც 600,000 მან. დასჭირდება.

საბიუჯეტო კომისიაში.

საბიუჯეტო კომისიაში, სახელმწიფო კონტროლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, დეპ. შინგარიოვმა წინადადებათა მთელი რიგი შეიტანა, მაგრამ სახელმწ. კონტროლერმა ხარიტონოვმა უმეტესი მათგანი შეუწყნარებლად აღიარა. შინგარიოვის წინადადებანი დიდი უმრავლესობით მიიღეს. მათ მხარი დაუჭირა მარკოვმა 2, რომელიც ამტკიცებდა, რომ თვითმპყრობელი მეფე დაინტერესებულია ნამდვილი კონტროლის არსებობითაო, რაზედაც შინგარიევმა უპასუხა, არა ნაკლებ დაინტერესებულია ამ საქმით კონსტიტუციონური მონარქიაო.

შრომის ჯგუფის შეკითხვა.

შრომის ჯგუფს შეკითხვა შეაქვს, სათათბიროში ლენის ამბების მოსაგონარ დემონსტრაციის დროს, პოლიციის მოქმედების შესახებ. ჯგუფი აღნიშნავს, რომ დემონსტრაციას სრულებით მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა პოლიციამ იარაღით გაჰფანტა იგი, რომლის დროსაც ბევრი დაშავდა.

სამეურნეო ინსტიტუტის ახალი განყოფილება.

სახელმწ. სათათბიროს სახალხო განათლების კომისიამ სასურველად აღიარა, რათა სამეურნეო ინსტიტუტში დაარსდეს ახალი განყოფილება მეთევზეობის ფაკულტეტით.

უწესოებანი საინტენდანტოში.

საინტენდანტოს სამართველოს ხარჯთ-აღრიცხვის დროს დეპ. შინგარიოვმა შემდეგი უწესოებანი აღნიშნა: ირკუტსკში საინტენდანტოსაგან მიღებულ ხორბალს გაწმენდა და გახმობა დასჭირდა, რამაც წონაში დააკლო მას; ფეხსაცმლის მასალა მეტად ცუდი გამოდგა მოსკოვისა და ყაზანის ოლქში; სურსათის საწყობები უხეიროდაა აშენებული; ანგარიში საწყობებისა მეტად უგულისყუროდ არის ნაწარმოები და სხვ. მთავარ საინტენდანტოს უფროსმა შუვაევმა დაადასტურა შინგარიოვის ნათქვამი, მაგრამ თანვე დასძინა, დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემული და მიღებულია ღონისძიება უწესოების მოსასპობადო.

ენის და წერა-კითხვის სწავლებისა. ისეთი მოღვაწეობა იტალიაში აღზრდილ ქართველთა მოჰყვა 1629 წ. რომში ქართული სტამბის დაარსებასა. თეიმურაზ მეფის ელჩმა ნიკიფორე ირბახმა ხელი შეუწყო ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენას და გამოცემას. დაჰხმარებია სტეფანე პაულინი, რომელსაც მისგანვე ცოტა ქართული უსწავლია. თვით რომის პროპაგანდის კოლეგიაც საქართველოს მიზეზით დაუარსებიათ, რადგანაც საჭიროდ დაუნახავთ ქართველთა შორის კათოლიკობის წარსამატებლად განათლებული მღვდლების მზადება. კოლეგია დაუარსებია პაპს ურბანო მერვეს, რომელსაც დაუდგენია, სხვა ტომთა შორის ქართველთათვისაც ყოფილიყო ორი ადგილი, რომელსაც დღესაც ქართველებს უთმობენ. ზოგჯერ მეტიც ყოფილა მოსწავლე იმ კოლეგიაში. ყოველი მისიონი, რომელიც მოქმედებდა საქართველოს სხვადასხვა თემში, სკოლას ჰმართავდა ადგილობრივ და ახალ მოზარდ ყმაწვილებს ასწავლიდა. უეჭველია მათ აღზრდას ჰქონდა უფრო სარწმუნოებრივი მიმართულება.

პატრი ანტონ ჯარდინა, რომელიც გურიაში მოღვაწეობდა 1634 წ., კარგი მცოდნე იყო ქართული ენისა ლამბერტის მოწმობით ქართულს ისე ლაპარაკობდა, როგორც დედაენას. შეადგინა ქართული გრამატიკა და პატარა გურულებს დააწყებინა მისი შესწავლა. ანტონ ჯარდინას სკოლა გურიაში გასაოცარი შეიქნა თავისი წარმატებითა.

პატრი იოსებ ძამპის, რომელიც კოლხეთში მისიონერობდა 1670 წ., ნება მიეცა თავისი გაწვრთნილი ორი ყმაწვილი გაეგზავნა რომს პროპაგანდის კოლეგიაში, რომ შემდგომ მღვდლებად დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში კათოლიკობის საქადაგებლად.

როგორც სჩანს იმ წერილში, რომელიც მოუვიდა ქართლის მისიონერს პატრი სერაფინე მელიკოკელ პრეფექტოს 1666 წ. ურბანის კოლეგიაში გასაწვრთნელად იგზავნებოდნენ ყმაწვილები 15—20 წ., ნიჭიერი და გულისხმიერი, რათა შესძლებოდათ მეცნიერების შესწავლა, ჯანმრთელი, კარგი ზნიანი, წყნარი, მორჩილი და სათნოებიანი, რათა უნაყოფოდ არ დარჩომილიყო მათი შენახვა და გაწვრთნა. იგივე პატრი სერაფინე 1671 წ. სწერს პროპაგანდის კოლლეგიას, კვალად გავმართე სკოლა... ყმაწვილები ბლომად გვყვანან, ყმაწვილებს ვასწავლი ქართულს, იტალიურს და ლათინურს... ერთმა ჩვენგანმა ქართულად სთარგმნა რომის კათეხიზმო და მალე დაასრულებს, გვინდა, დავაბეჭდვინოთ წმინდა კრებასა.

1672 წ. მიუწერიათ რომისთვის ვრცელი მოხსენება, სადაც ნათქვამია, სხვათაშორის, სწავლის დროს ბავშვებს ვწვრთნით სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაში. მაგრამ ისწავლიან ქართულ წერაკითხვას თუ არა, მიდიან. ამ სენის საწინააღმდეგოდ დავაწყებინეთ ლათინურის და იტალიური გრამატიკის სწავლა. გამოცდილებამ გვიჩვენა, როდესაც იტალიური იციან, ვერც ამხანაგების დაცინვა, ვერც მშობლების სიმკაცრე ვერ აშორებს მათ ჩვენგან და სარწმუნოებისაგან... უკანასკნელ დიდმარხვითგან ეკლესიაში ბავშვებს რიგ რიგად ვამეორებინებთ საქრისტიანო მოძღვრებას, ბელარმინის შედგენილს, რომელიც ერთმა ჩვენგანმა სთარგმნა ქართულად.

1681 წ. ნეაპოლის სკოლაში ერთი ახალგაზდა ქართველი თავადიშვილი ყოფილა, რომელსაც პროპაგანდის კოლეგიაში შესვლის ნებართვა უთხოვია. როგორც სჩანს წერილში, რომელიც ნეაპოლის ნუნციოს მოსვლია იმავ წელს, ის ყმაწვილი ყოფილა გამოჩენილი ქართველი ოჯახიშვილი და ნეაპოლში სწავლობდა **სამოქალაქო მეცნიერებას**. კარდინალები ჰპატიობდნენ, შეეტყოთ ნეაპოლელი ნუნციოსაგან მისი ვინაობა და ზნეობა. იმ დროსვე ნეაპოლში სცხოვრებდა პატრი ბერნარდე, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა საქართველოს წინაშე, როგორც წიგნების ქართულად მთარგმნელს და შემდგენელსა, როგორც კერძოდ კათოლიკობის, ისე საზოგადოდ ქართველობისთვის.

იმ კათოლიკე მამების მოღვაწეობასთან ახლო იდგნენ ქართველი მწერლებიცა. მაგ. 1687 წ. პატრი იოსებ ლივორნელს რომისთვის წარუდგენია გაკათოლიკებულ ქართველ დიდკაცთა სია, სადაც სხვათაშორის, იხსენიება ბატონი სულხან, შვილი დიდი მინისტრისა, ბიძაშვილი მეფისა, უკეთილშობილესი ქართველი ყაფლანიანთ გვარისა. შეუსწორებია **საქრისტიანო მოძღვრება**, რომელიც იმას უთარგმნია, და კათოლიკობა მიუღია იმავ წლის აგვისტოს თხუთმეტსა.

1702 წ. მონტეფიასკონის სემინარიაში **ფილოსოფიას** სწავლობდა იოსებ აბელაშვილი 16 წლის ყმაწვილი, რომელიც 1703 წ. პროპაგანდის კოლეგიაში შესულა და ღვთის მეტყველებისთვის შესასწავლად ერთი წელიწადი დასჭირებია.

პეტრე მირიანაშვილი.

(დასასრული იქნება)

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. სადღესასწაულ. რეპერტუარი. ქართველი მსახიობთა ამხანაგობამ გადასწყვიტა წარმოადგინოს აღდგომის დღესასწაულებში „სამშობლო“, „დალალი“ და უკანასკნელად ერთ საღამოს ორი ტრაღედია „ედიპე მეფე“ და „ანტიგონე“. ყველა წარმოდგენის ბილეთები უკვე იყიდება. უკანასკნელი წარმოდგენის ბილეთების ფასი მომატებულია.

კავკასიური საღამო. კავკასიის სომეხ მწერალთა საზოგადოებამ აპრილის 5-ს, ტფილისის საკრებულოში, სომეხ-ქართველთა აშუღის **საიათნოვას** სახსოვრად საღამო გამართა. საიათ-ნოვა ტფილისელი სომეხი იყო და თავის ლექსებსა და სიმღერებს სწერდა და მღეროდა, როგორც სომხურ, აგრეთვე ქართულ ენაზე. იგი, როგორც საუკეთესო აშუღი, მიღებული იყო ყოველ-გვარ მეჯლისებში. მასვე აქვს რამდენიმე თათრული სიმღერა-მუხამბაზი. საღამოს დასაწყისს სომხის მგოსანმა დამსწრე აუარებელ საზოგადოებას გააცნო საიათ-ნოვას ბიოგრაფია. შემდეგ აშულ ჰზირას მომღერალ-დამკვრელთა დასმა კავკასიურ ინსტრუმენტებზე შეასრულა საიათ-ნოვას სიმღერები და ჰანგები. მეორე განყოფილებაში მსახიობებმა ბ. ბ. გ. გედევანოვ-მირაღიანმა და მამიკონიანმა წარმოსთქვეს საიათ-ნოვას მიერ დაწერილი რამდენიმე ლექსი.

დამსწრე საზოგადოებამ ყველა მონაწილეები ტაშის ცემით დააჯილდოვა. **ა. ქ.**

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)
8 აპრილი.

საზღვარ-გარედ

ბალკანეთის ომი.

სტამბოლი. სამხედრო სასამართლომ დაადგინა, შეიპყროს პრინცი საბაჰ-ედინი, რომელიც სასამართლოში არ გამოცხადდა. იგი მოწმედ უნდა ყოფილიყო მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულების საქმეში.

ომი და სახელმწიფონი

ლონდონი. რეიტერის ცნობით, საბერძნეთმა შეატყობინა დიდ სახელმწიფოებს თვისი სურვილი ნეიტრალურად გამოაცხადოს სანაპიროები ქალაქ კორფუს გასწვრივ მდებარე ადგილიდან ღრამალის ყურემდე. საბერძნეთს იმედი აქვს, რომ დიდი სახელმწიფონი მოკავშირეებთან ერთად იმსჯელებენ ალბანეთის სამხრეთ საზღვრებსა და ეგეის კუნძულთა თაობაზე.

იტალიელის მოკვლა.

რომი. ადანის მიდამოებში მოჰკლეს იტალიელი. ჯავშნოსან „ერტურიას“ მერსინში წასვლა ებრძანა.

მოქანდაკეს სიკვდილი.

კოპენჰაგენი. უეცრივ გარდაიცვალა ცნობილი მოქანდაკე პროფესორი ვისენი.

ბაიტენი. ზემოსილეზიის სამთო რაიონში გაფიცულია 25.000 მუშა.

კალიფორნიის კანონპროექტის გამო.

ტოკიო. ამერიკაში უცხოელთა მიწის-მფლობელობის აკრძალვის კანონ-პროექტის გამო, იაპონიას აზრად აქვს განახორციელოს კანონი, რომელიც უცხოელებს მიწის შეძენის და მფლობელობის უფლებას ანიჭებს იაპონიაში.

რუსეთი.

ეკატერინოსლავი. ეკატერინეს რკინის გზის ლიანდაგზე სწრაფი მატარებელი დაეჯახა საქონლისას. დაზიანებულია ორთქმავალი, საბარგო და ორი საკლასო ვაგონი. მსუბუქად დაჭრილია 15 მგზავრი.

პეტერბურგი. ვაჭრობა-მრეწველობის-წარმომადგენელთა კრების საბჭომ დაადგინა მეშვიდე კრება მოიწვიოს 5 მაისისთვის. განსახილველია სხვა და სხვა საკითხი.

ოდესა. დაიწო ლევენბურგის ქაღალდის ქარხნის საწყობები. ზარალი 150.000 მ.

პეტერბურგი. „სვეტი“-ს რედაქტორი სამართალშია მიცემული 1034 მუხლის ძალით. დააჯარიმეს 500 მანეთით „ლუჩის“-ს და „რუსკაია მოლვის“ რედაქტორები.

მოსკოვი. 500 მანეთით დააჯარიმეს „უტრო როსიის“ რედაქტორი წერილისთვის—„სებლერის კალოშები“. და „რუსკ. ვედომოსტი“-ს რედაქტორი 300 მანეთით.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ სასურველად სცნო კერძო მრეწველთა მონაწილეობა საარტილერიო იარაღის დამზადებაში.

წერილ. რედ. მიმართ

ქართ. სათ.-აზნ. გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს გამგე კომიტეტმა მიიღო შემდეგი შემოწირულებანი: 291 მ. 60 კ.—ტფ. გუბ. თავ. აზნაურობისაგან, დამზღვევ საზ. „როსსია“-საგან. 100 მან.—თავ. კ. ნ. და კნ. ელ. ი. აფხაზებისაგან. მათი დაუვიწყარი შვილის სახსოვრად, კნ. კ. ირ. ბაგრატიონ-მუხრანსკისაგან—100 მ., №№—100 მან., თავ. ა. ი. და კნ. მ. ვ. ორბელიანებისაგან—25 მან., (გვირგვინის ნაცვლად) კნ. ე. ე. შერვაშიძისაგან, თავ. დ. ე. და კნ. ნ. დ. ჯორჯაძეებისაგან—25 მან. (არჩილ ჯორჯაძის სახსოვრად); ნინო, ნიკა და ეკა კრაილოვსკებისაგან—15 მან. მათი ძმის ვოლოდიას სახსოვრად. ძმ. ძეველოვებისაგან 3 ფუთი თევზი—ლოქო და დოში.

ყველა შემომწირველთ ღრმა მადლობას უძღვნის **გამგეობა.**

**რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.**

გამოსადეგი ცნობა

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)
15 ოქტომბრიდან,
შავ-ზღვაზე.
(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).
„ვაჭრობა-ნაოსნობის“ საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო გემი შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **თხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკევ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სა ., შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ., გარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **თხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამშ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და მერკური“
საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდან ორშ. და პარ. დილ. 6 ს. 50 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 6 ს. 44 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის-ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდია, და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ამლაკის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).
15 ოქტომბრიდან.
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: **სამგზ.-საბარგო** № 8, საღ. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: **სახ.** №№ 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.**, № 68, საღ: 6 ს. 38 წ. **სახ.-სახ.** № 70
8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77
5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ.
1, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5ს.
სახ. № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დი
ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახ**
№ 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ**, 82, საღ. 6
წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხ
29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 2
დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს:
№ 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ
ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** №
საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. №
შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п, საღ.
24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 2
ნაშ. ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატან
ბში: **სახ.** № 18, ღამ, 1 ს. 13 ს. **სახ.** №
დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 5

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. №
დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 2
სახალ. № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17,
შუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. №
ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 4
სახ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, შუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. №
ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 1
სახ. № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. №
ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 5
სახ. № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა
გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გ
ლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის
მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კ
სის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა
ლეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივ
კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლ
სსა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლ
№№ 5 და 6. 1 და II კლასი და მესამე კლ
ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა,
ლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაც
ტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი
გონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა,
ტარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნის**
ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კ
მატარებლის ნომრები და 3 4.

განცხადებანი

ავადმყოფთ

„**სპერმინ-პელა**“-ს მხმარებელ ავადმყოფთ დიდ იმედიან რეკლამებით სცდილობენ მიაღებინონ თესლეულის გამონაწური სხვა და სხვა სითხე. ამ რეკლამებში ყოვლად მოურიდებლად ამახინჯებენ ფაქტებს და იმოწმებენ უცხოეთის სხვა და სხვა მეცნიერთ, **რომელთაც არათდეს არ უნახავთ ეს წამლები.** ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოთ ამ კოტოშებისა და სხვა გამომწვევ საშუალებათაგან, რადგანაც ის წამლებში, რომელთაც „სპერმინ-პელას“-თან საერთო არა აქვს რა, ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნებელ ნივთიერებას შეიცავს.

ნერვების აშლილობისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულობის დაჩაჩანაკებისა, ისტერიისა, ნევრალოგიისა, სისხლნაკლებულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის ძმარვა, გულის სისუსტე), ძარღვების დადუნებისა, ლოთობისა, წელკავისა, სიდამბლისა, განვლილ ავადმყოფობისაგან გამოწვეულ დაქანცულობა-უღონობისა და სხვა შემთხვევის დროს, მხოლოდ **სპერმინ-პელა** აღწევს იმ თვალსაჩინო შედეგამდე, რასაც ადასტურებენ მთელი ქვეყნის ცნობილ მეცნიერთა და ძკურნალთა გამოცდილება.

ყურადღება უნდა მიაქციოთ თვითონ სახელწოდებას **სპერმინ-პელა** და არ მიიკროთ არც ერთი გამოსაწვევი რამ საშუალება, არც ათასნაირი სხვა და სხვა სახელწოდებიანი სითხე, რომელთა უვარგიაობის თაობაზე გამოცემულია ცალკე წიგნაკი და მსურველთ უფასოდ ვუგზავნით, **სპერმინზე** ახლად დაწერილ წერილებთან ერთად.

სპერმინ-პელა ყველა აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში იშოვება.

ორგანოტერაპეტიული ინსტიტუტი
პროფესორი ექ. პელ შვილებით
მის იმპერატ. უდიდებულ.
იჯარადარნი
ს. პეტერბურგი.
1479 1068

**თევზეულობის მაღაზია
ს. ლ. ხუროშვილისა**
პუშკინის ქუჩა ტელეფონი № 496.
ვყიდით:

საუკეთესო მარცვლიან **ხიზილალას, ცოცხალ თევზს „ქიტკა“-ს ორაგულს, თართს, ტარაღანას, ლოქოს,** მოხარშულ დოშს, ზურგიელს და სხვა ყოველგვარ თევზებს და კონსერვებს.
ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში. 1127.

ფეხსაცმელების დეპო ს. პაპიკიანცის და კომ.
1. **მთავარი: გოლოვინის პროსპ. № 38. 2. განყოფილება: მუხრანის ქუჩა № 4.**
შემთხვევით ისარგებლეთ!

ამით ვაცხადებთ პატივცემულ საზოგადოების საყოველთაო საყურადღებოდ, რომ მომავალ დღესასწაულებისთვის ჩვენ მიერ მიღებულია კაცებისა, ქალების და ბავშვთა უკანასკნელ და ახალ ფასონის აუარებელი ფეხსაცმლები, როგორც საზღვარ-გარეთისა, ისევე ს.-პეტერბურგის ფეხსაცმელთა სამექანიკო ნაწარმოებისა და რუსეთის სხვა და სხვა ფირმებისა.

ფასები კონკურენციის გარეშეა, რაშიაც ვთხოვთ პირადად დარწმუნდნენ.
1149 სრულის პატივისცემით **მ. ო. პაპიკიანცი და კომპ.**

მივიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი, **ქვირითის** (კეტოვ.) **ხიზილალა**
თევზის მრეწველნი **ძმ. ძეველოვები.**
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

გამოსული ქერჩის **სელიოტკები,**
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში.
მოხარშული დოში, ზურგიელი.
და ყოველგვარი

СИРОЛИНЪ РОШЪ
სიროლინი „როშ“-ი
ბავშვებისა და მოზრდილთათვის ნაცადი, დამამშვიდებელი, გამხსნელი საშუალება ახალ თუ დაძველებულ ყაზზოზისა, ყივანახველისა, ინფლუენციისა, ხველებისა, ფილტვების ანთების შემდეგ.
უზრუნველმყოფელია ჭლექის წინააღმდეგ,
მადას აუმჯობესებს, ნარკოსტიულ ნივთიერებთაგან განწმენდილია, გემო სასიამოვნო აქვს.
იყიდება ყველა აფთიაქსა და საფთიაქო მაღაზიებში.
მოითხოვეთ უსათუოდ **სიროლინი „როშ“** ქარხნის ორიგინალურ გასახვევით.

20674 1136.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში.
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ.
მექანიკური ნაწარმოები. 170.



ЯПОНСКАЯ СИРЕНЬ
ДУХИ
МЫЛО
О-ДЕ-КОЛОНЪ
ПУДРА
ПРОДАЖА ВЕЗДѢ
Т-ВО ПРОВИЗОРА
А.М.ОСТРОУМОВА
Метцль 148198.
1122

ექიმ ნავასარდიანი
**პირველი კერძო
სამკურნალო**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღ
გარდა კვირისა.**
დილით:
„606“ და „914“
**11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.**
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირ
გიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ადამხანოვი: 1—2 ს. ბავშვთა შ
განი ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა,
ხაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საშვებით,
ლებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირ
სა და ყელ.სა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა,
ფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ
საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავით დოვ**
1—2 ს. სიზებით და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა
უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაცი
ტარიფებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი ბ. ა. ნ **ავასარდიანი**



მიწის დასამუშავებელი
მანქანებისა და იარაღი
საწყობი
ა. ეტცი და შვილ
ტფილისი, (რიყე), დესიმონოვის მოედანი,
მინდვრის მოსარწყავად გირჩევთ ნაცად ნავთით მამოძრავებელ
„ეკონომს“
სხვა და სხვა ძალისას. არის აგრეთვე **ცენტრით ლტოლვილი** ტუმბოები. უზრუნველ
ყოფილია ნავთის მცირე ხარჯი, უბრალო კონსტრუქცია და მოვლა.
მოითხოვეთ სხვათა აზრი და კატალოგები № 44.
სამკალი მანქანების საერთაშორისო კომპანია ამერიკაში. 11

ხელის მოწერით გამოიცემა ე. ზოლა
„ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში“
ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.
დაკვეთა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სი
დალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების
გნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა „იმერე
ში“, **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**
სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთე
ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **კავკავში** მასწავლ. ბურჯა
ძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზია
ზესტაფონში—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბის
თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადში“, **სი
ნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.
„**ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში**“ „მოამბის“ ზომისა (400 გვ.) იქნება
წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 11

ტფილისი, მუხრანის ქუჩა სტამბა „შრომა“.